ხელშეკრულება #2023/02/16
მომსახურების შესახებ

ქ.თბილისი 8 თებერვალი2023 წელი.

ერთი მხრივ, სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის დავით დოიაშვილის სახით (შემდგომში `დამკვეთი~) და მეორე მხრივ, **შპს "ნინიას ბაღი თბილისი"** (შემდგომში `შემსრულებელი~), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში და ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 `შემსრულებელი~ დამკვეთს გაუწევს მომსახურებას რესტორანში **„ნინიას ბაღი".** ეს მომსახურება მოიცავს: ცალკეულის სახის ღონისიებებისთვის ხელშეწყობას, ამ ღონისძიებებისთვის აუცილებელი ფართის გადაცემას, წინასწარ შეთანხმებული მენიუს მიხედვით ან/და დამატებითი კერძების მომზადებას და მიწოდებას – CPV55300000; ღონისძიებების ჩატარების დროს ხელშეწყობას და შენობის დაცვას.
თავის მხრივ, `დამკვეთი~ იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს გაწეული მომსახურეობის საფასური ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.
1.2 ხელშეკრულების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–10' მუხლის მესამე პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

2. ანაზღაურება მომსახურებისათვის

1. `დამკვეთი~ უნაზღაურებს `შემსრულებელს~ გაწეული მომსახურების საფასურს (ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულაბა შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს.
2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის გადახდა მოხდება ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან ათი დღის ვადაში.
3. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, `დამკვეთს~ დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით
4. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოხდეს მომსახურების წინასწარი კალკულაცია .

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:
ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ: გაუწიოს სარესტორნე მომსახურეობა დამკვეთს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და სათანადო ხარისხის დაცვით;
ბ) ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

3.2. დამკვეთი უფლებამოსილია:
ა) მოითხოვოს შემსრულებლისგან კომპანიის თანამშრომლებისათვის ხარისხიანი პროდუქციის (საკვების) მიწოდება;
ბ) მიიღოს განხორციელებული მომსახურება და მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

4.ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან და მეორე მხარისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

5. ხელშეკრულების მოქმედება

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2023 წლის 20 მაისის ჩათვლით.**
2. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს თუ ერთერთი მხარე ამის თაობაზე მეორე მხარეს 15 (თხუთმეტი) დღით ადრე აცნობებს წერილობით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (არასრულად) შეუსრულებლობის ან ცალმხრივად შეწყვეტისას, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება წყდება ვადის ამოწურვისას.
2. მხარეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებით, ერთობლივად შეწყვიტონ ხელშეკრულება ნებისმიერ დროს.
3. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

8. დავების გადაწყვეტის წესი

1. მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

9. ხელშეკრულების სხვა პირობები

1. მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების გადასინჯვა და მასში რაიმე ცვლილებების შეტანა, აგრეთვე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება დასაშვებია, მხოლოდ, მხარეთა შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით.
2. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარიმნიშვნელოვან ეგზემპლიარად.

10. მხარეთა ხელმოწერა და რეკვიზიტები:

`დამკვეთი~	`შემსრულებელი~
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი მისამართი: დავით აღმაშნებელის გამზ. 127 ს/კ - 201948928 სამხატვრო ხელმძღვანელი დავით დოიაშვილი	შპს "ნინიას ბაღი თბილისი" სად. კოდი: 404590634 მის: დიმიტრი უზნაძის ქ. 97 ტელ: 032196669 ბანკი: ს.ს "საქართველოს ბანკი" ანგარიშის ნომერი: GE36BG0000000527267136

TBILISI VASO ABASHIDZE MUSICAL COMEDY AND DRAMA PROFESSIONAL STATE THEATRE
Digitally signed by TBILISI VASO ABASHIDZE MUSICAL COMEDY AND DRAMA PROFESSIONAL STATE THEATRE
Date: 2023.02.13 13:13:48 +04'00'

Meri Gubeladze 01010003222
Digitally signed by Meri Gubeladze
Date: 2023.02.10 15:04:14